MES 6 22 0000994717

05/09/2022

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 22 აგვისტოს სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი), საბჭოს სხდომის მდივანი;
თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზედენტი - საბჭოს წევრი;
თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს "ციფრული უნარების განვითარების" პროგრამის კოორდინატორი - საბჭოს წევრი.
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი - საბჭოს წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს პეა:
ნიცა მდივანი - დირექტორი,
გურამ კაკაბაძე -ხარისხის კოორდინატორი.

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“:
ნანა ჯოლია- დირექტორი,
თამარ არობელაძე- ხარისხის მართვის მენეჯერი,
სოფიო კვერღელიძე-ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

შპს ქართული ღვინის გილდია:
მარიამ ხომასურიძე - თანადამფუძნებელი,
ნინო თექთუმანაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:
ლაშა ცაგარეიშვილი,
თეა მახათელაშვილი,
ალექსანდრე ჩალათაშვილი,
ირმა წამალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი სხდომას არ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივნობა დააკისრა გიორგი გამყრელიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს პეას /01396/ ,,UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის" /01408/ ,,ვენახის გაშენება-მოვლა'' პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ქართული ღვინის გილდიის /01348/ ,,მევენახეობის მოკლე კურსი'' პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ქართული ღვინის გილდიის /00424/ „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ქართული ღვინის გილდიის /00425/ „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, საკითხების განხილვა დაეწყოთ წინა საბჭოზე დარჩენილი განსახილველი ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვით, აქედან გამომდინარე, მან მიმართა საბჭოს წევრებს იყვნენ თუ არა თანახმა, აღნიშნული საკითხის განხილვით დაეწყოთ საბჭოს სხდომა, რაზეც საბჭოს წევრებმა, თანხმობა განაცხადეს.

საბჭომ დაამტკიცა **შეცვლილი დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს პეას /01396/ ,,UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის" /01408/ ,,ვენახის გაშენება-მოვლა'' პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ქართული ღვინის გილდიის /01348/ ,,მევენახეობის მოკლე კურსი'' პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ქართული ღვინის გილდიის /00424/ „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ქართული ღვინის გილდიის /00425/ „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა მოკლედ წარმოედგინა აღნიშნული პროგრამა, კონკრეტულად რა ტიპის პროგრამაა, რატომ არის აქტუალური და ასევე მიმოეხილა ამ მიმართულებით შრომის ბაზარზე არსებული ვითარება. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ყურადღება გაემახვილებინა პროგრამის ხანგრძლივობაზე, პარტნიორებთან მემორანდუმების გაფორმების, პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ასევე, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელება აჭარის რეგიონში და რა ვითარებაა ამ მიმართულებით დღეს. მან აღნიშნა, რომ რეგიონში დაწყებულია სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსის შექმნას და ამავდროულად თაობათა ცვლის ხელშეწყობას.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს დარგის ექსპერტის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები, ასევე ისაუბრა პროგრამის ხანგრძლივობაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტის ვიზიტის შემდეგ მოამზადეს ცვლილების პროექტი და პროგრამის ხანგრძლივობა 28 კვირდან 20 კვირამდე შეამცირეს, ასევე მათ გაფორმებული აქვთ მემორანდუმები პარტნიორებთან, მან ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ რვა კომპიუტერი უკვე შეძენილია და კიდევ რამდენიმე კომპიუტერის შეძენას აპირებენ, აქედან გამომდინარე, მისი თქმით, ეს საკმარისია აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა პროგრამის განმახორციელებელი პირების კომპეტენციაზე და აღნიშნა, რომ გამოცდილი კადრები ჰყავს შერჩეული და ასევე გაითვალისწინებენ რეკომენდაციას, უკვე დაგეგმილია მათი გადამზადების ტრენინგში მონაწილეობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ ორივე განმახორციელებლის კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია და დარგის ექსპერტის მხრიდან მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები იქნა გაცემული.
საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს საკითხის წარმოდგენისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტსა და ცენტრის წარმომადგენელს, რომ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ არიან ისეთი ფონდები ან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც

ამ მიმართულების განვითარებაზე იზრუნებენ, რადგან მისი აზრით გადამზადებული პირებისთვის შესაბამისად არ არის სამუშაო სივრცე მოწყობილი, იგი ასევე დაინტერესდა, მოკვლევა ჩატარდა თუ არა მოსახლეობაში და რამდენად მოთხოვნადია ეს პროგრამა.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამის, თუ ზოგადად ამ მიმართულების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ყველა მხარის ეფექტური ჩართულობა.

საბჭოს წევრი ნიკოლოზ მესხიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დააფიქსირა თავისი პოზიცია აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. მან დასძინა რომ, დღეს არსებული საბიბლიოთეკო რესურსით ვერ მოხდებოდა ახალგაზრდების მოზიდვა, მან დადებითად შეაფასა, პროგრამაში ასახული საერთაშორისო პრაქტიკა და აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობაში პრობლემას ვერ ხედავდა, რადგან ამ პროგრამაში იკითხება საერთაშორისო სტანდარტები საბიბლიოთეკო საქმესთან მიმართებით. აღნიშნულს დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელიც და აღნიშნა, რომ მისთვის უფრო მისაღები იქნებოდა წარმოდგენილი ხანგრძლივობით მიეღო პროგრამას განხორციელების უფლება.

დარგის ექსპერტმა ირმა წამალაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მათ მიერ მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები იქნა გაცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის /01415/ ,,ბიბლიოთეკარი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბიბლიოთეკარი/01415/ **(დანართი).**

2. შპს პეას /01396/ ,,UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს,

იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ესაუბრა პროგრამის შესახებ. დაწესებულების დირექტორმა ნიცა მდივანმა, აღნიშნა, რომ შპს პეა არის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს და მუდმივად ცდილობენ ინოვაციური პროგრამების შემოტანას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული პროგრამა „UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში“ არის პირველი პროგრამა ამ მიმართულებით, არის თერთმეტკვირიანი, მსმენელების რაოდენობა კი ჯგუფში 25 მსმენელით არის განსაზღვრული, მან ასევე მოკლედ აღწერა პროგრამის მნიშვნელობა და საჭიროება შრომის ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა ყურადღება გაემახვილებინა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე:
1.8. ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომ გამრავალფეროვნდეს პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდები და ასევე 2.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით, სადაც მსმენელების რაოდენობაზეა საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა ნიცა მდივანმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მეტად რელევანტური იქნება თუ პროგრამის განმახორციელებელი ისაუბრებს.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის კოორდინატორმა გურამ კაკაბაძემ ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაში დაფიქსირებულის სწავლის მეთოდი - ლექცია მოიცავს პრობლემის განხილვას, გულისმობს პრაქტიკული დავალებების განხილვას, რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას განმახორციელებელ პირთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ საკმაოდ რთულია აღნიშნული პროგრამისთვის კვალიფიციური დამატებითი კადრის მოძიება, ამიტომ ამ ეტაპზე ჰყავთ მხოლოდ ერთი განმახორციელებელი პირი.
ცენტრის წარმოამდგენელმა, ლანა გაჩეჩილაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია, ისაუბრა სწავლების მოდელზე, რაც გათვვალისწინებულია პროგრამაში, კერძოდ პროგრამა ითვალისწინებს შემოქმედებით აზროვნებას, რაც არ მოითხოვს განმახორცილებელ პირთან პირდაპირ კონტაქტს და შესაძლებელია არ განხორციელდეს სასწავლო აუდიტორიაში, თუმცა განმახორციელებელი პირი პერიოდულად თითოეულ მსმენელს ინდივიდუალურად აძლევს განმავითარებელ შეფასებას. ასევე, ისაუბრა პროგრამის ხანგრძლივობაზე, პროგრამა 11 კვირიანია თუმცა ბოლო კვირა ეთმობა მსმენელთა ნამუშევრების შეფასებას განმახოციელებელი პირის მიერ. ასევე, აღინიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ისინი დაინტერესდნენ ქართულ რეალობაში რამდენად საჭიროა უცხო ენაზე აღნიშნული საქმიანობის განხორციელება, დაწესებულებისგან კი პასუხად მიიღეს, რომ ამ ეტაპისთვის მათ აღნიშნული კადრები ქართული რეალობისთვის სჭირდებათ, ხოლო თუ მათ ექნებათ უცხო ენის ფლობის კომპეტენცია, ექნებათ დამატებითი მომსახურების გაწევის შესაძლებლობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა თუ ორგანიზაციებისთვის.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ასევე საუბარი იყო, რამდენად მნიშვნელოვანია პირს ჰქონდეს წერითი უნარები, მანამ სანამ ისინი პროგრამაზე ჩაირიცხებიან, დაწესებულებამ მათ განუმარტა, რომ პროგრამის კომპონენტი ასევე მოიცავს წერითი უნარების განვითარებასაც, დაწესებულების თქმით გასაუბრების დროსაც სწორედ ამ კომპონენტზე იქნება ყურადღება გამახვილებული.
ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ პრეზენტაციაში ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, ასევე მან საბჭოს წარმოუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტოები.

დარგის ექსპერტმა ლაშა ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი სწორად არის დანახული, რის მიხედვითაც შემუშავებულია პროგრამა, თუმცა მისი თქმით მნიშვნელოვანია განმახორციელებლების რაოდენობა გაიზარდოს, ვინაიდან ამ დროითვის მხოლოდ 1 განმახორციელებელია წარმოდგენილი. საერთო ჭრილში დარგის ექსპერტმა პროგრამა დადებითად შეაფასა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეას /01396/ ,,UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხერე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს პეას (ს/კ: 405479101) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში/01396/ **(დანართი).**

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა.

3. **ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის" /01408/ ,,ვენახის გაშენება-მოვლა" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ საქართველოში უკვე ხორციელდება საკვალიფიკაციო/სადიპლომო პროგრამა „მევენახეობა-მეღვინეობა“, რომელიც წარმატებით ხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში დუალური სწავლების ფარგლებში, თავმჯდომარის მხრიდან აღინიშნა, რომ მათთვის მთავარია დაინახონ საკვალიფიკაციო პროგრამისგან რითი განსხვავდება წარმოდგენილი მოკლევადიანი პროგრამები და ყურადღება გამახვილდეს შედეგებზე. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ წარედგინათ პროგრამა.

ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ დირექტორი ნანა ჯოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოკლედ ისაუბრა კოლეჯის ისტორიის შესახებ, მან აღნიშნა, რომ კოლეჯი ოპერირებს გურიის რეგიონში ორ ლოკაციაზე და დასძინა, რომ გორაბერეჟოულის ლოკაცია დაეთმობა სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელებასა და გაძლიერებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უსაფრთხო სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით, რაზეც დასკვნაში იყო ხარვეზი დაფიქსირებული. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილია უსაფრთხო სასწავლო გარემო, თუმცა დადებითი დასკვნა არ აქვთ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, საკითხი ეხება ავზის მოწყობას. მათ მიმართეს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს, თუმცა ამასთან ერთად დაწესებულების დირექტორის მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი ადგილზე იკვლევენ ვითარებას და ასევე გაგზავნილი აქვთ წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საიდანაც ელოდებიან პასუხს ავზის გადმოცემასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ ეს ხარვეზი აღმოფხვრილი იქნება.
საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ უსაფრთხო სასწავლო გარემო დაწესებულებისთვის უმნიშვნელოვანესია, ამიტომ თუ აღნიშნული ხარვეზი ერთ თვეში აღმოიფხვრება, მაშინ მათ მიეცემათ ერთთვიანი გამოსწორების ვადა.

წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით კი პრეზენტაცია წარმოადგინა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, მან აღნიშნა, რომ პროგრამის დანერგვა და განხორციელება ხდება სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის, ცვლილებებისა და ინოვაციების ინსტიტუტისა და ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მიერ.
მან ასევე აღნიშნა, რომ პროექტის განხორცილების დაწყებამდე გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ ჩატარდა კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის“ ფარგლებში.
შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა თეა მახეთელაშვილმა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა არის კომპაქტურად და ფოკუსირებულად აწყობილი, აქცენტები გაკეთებულია მნიშვნელოვან საკითხებზე და არ არის გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროგრამის ანალოგი.

ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ პრეზენტაციის ფარგლებში საბჭოს წარუდგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ფოტო მასალა, რომელიც მათი მხრიდან დადებითად შეფასდა. აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, მხოლოდ ერთი ხარვეზი დაფიქსირდა, დაწესებულებასსხვა ყველა პირობა შესრულებული აქვს, რაც მიწერილობის დოკუმენტში იყო ასახული. ამდენად მათი ვიზიტის ფარგლებში, მხოლოდ 2.4. ქვესტანდარტის ფარგლებში გამოვლინდა ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ სიტყვა გადასცა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრმა იმსჯელა ამ საკითხთთან დაკავშირებით, და თუ საბჭო იქნება თანახმა დაწესებულებას მიეცეს პროგრამის განხორციელების უფლება და ცენტრი მონიტორინგს განახორციელებს 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით.

ცენტრის თანამშრომელმა ლანა გაჩეჩილაძემ დასძინა, რომ ორგანიზაციას ასევე შემოტანილი აქვს სხვა განაცხადი პროგრამის განხორციელების უფლების თაობაზე, რომლის წარმოების ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება განახლებული სიტუაციის ნახვა, ასევე მისი თქმით მსგავსი პრაქტიკა არსებობს, როდესაც დაწესებულებას მიენიჭა პროგრამის განხორციელების უფლება და შემდეგ განხორციელდა მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის" /01408/ ,,ვენახის გაშენება-მოვლა'' პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვენახის გაშენება-მოვლა/01408/ **(დანართი).**

4. შპს ქართული ღვინის გილდიის /01348/ ,,მევენახეობის მოკლე კურსი" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. შპს ქართული ღვინის გილდიის /00424/ „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია"პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

6. შპს ქართული ღვინის გილდიის /00425/ „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა ერთად წარედგინა შპს ქართული ღვინის გილდიის საკითხები.
ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საბჭომ 2022 წლის 13 ივლისს „მევენახეობის“ პროგრამას განუსაზღვრა ერთვიანი ხარვეზის გამოსწორების ვადა, ორგანიზაციამ 2022 წლის 26 ივლისს წარმოადგინა გასწორებული პროგრამა, სადაც პროგრამის სახელწოდება დაკონკრეტებულია შემდეგი ფორმულირებით „მევენახეობის მოკლე კურსი“, რომლის შემოწმების ფარგლებში გასაუბრებები დაწესებულებასთან, განმახორციელებელ

პირებთან შედგა 2022 წლის 9 აგვისტოს დისტანციურად. პრეზენტაციის ფარგლებში, მისი მხრიდან აღინიშნა, რომ პირველადი შეფასების დროს დასკვნაში მითითებული იყო 9 აპრილის ქუჩა №3, მაგრამ შემდეგ დაზუსტდა მისამართი 9 აპრილის ქუჩა №5 და ამ დასკვნაშიც შესაბამისად აისახა ტექნიკური ცვლილება.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი სრულად არის დაკმაყოფილებული. აღნიშნულ პროგრამასთან და მის საჭიროებასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოხმაურება, რომელიც მიესალმება აღნიშნული გადამზადების პროგრამის განხორციელებას. წარმოდგენილია 6 სწავლის შედეგი და დოკონკრეტებულია ბიომევენახეობა და დაწესებულებას ამ მიმართულებით აქვს ცვლილება განხორცილებული.
პრეზენტაციის ფარგლებში ასევე საუბარი იყო პროგრამის მიზანზე და შემდგომ შრომის ბაზარზე დასაქმების პერსპექტივაზე. პარტნიორებად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ხელშეკრულება, კერძოდ სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და შპს „შატო ზეგაანი“.
რაც შეეხება ფართის ცვლილების მონიტორინგებს, ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 5 აგვისტოს, ცენტრის წარმომადგენლის თქმით, განცხადების მიხედვით, რომელიც ცენტრში იყო წარმოდგენილი, ფიქსირდებოდა ფართის ახალი მისამართი 9 აპრილის ქუჩა №3, ვიზუალური დათვალიერებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურდა, რომ ახალი ფართის ზუსტი მისამართია - ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №5. არსებულ პროგრამებზე იცვლება მხოლოდ მისამართი.
მან დასძინა, რომ პროგრამას ჰყავს სამი განმახორციელებელი პირი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ღვინისა და ცქრიალა ღვინოების ოფიციალური სადეგუსტაციო კომისიის დეგუსტატორის სტატუსი.
ორგანიზაციის აუდიტორიაში განთავსებულია ღვინის ბიბლიოთეკა და სინჯების, მასალების, ღვინის ბოთლების შესანახი კარადა, ასევე აღჭურვილია ღვინის დეგუსტაციის შესწავლისათვის საჭირო თვალსაჩინოებებით, ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება კურსდამთავრებულებთანაც, რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა, პრეზენტაციის ფარგლებში, ასევე წარმოდგენილი იყო ფოტო მასალა.

დარგის ექსპერტი ალექსანდრე ჩალათაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ადგილზე არსებული სამკითხველო დარბაზის არსებობა დადებითად შეაფასა, მან დასძინა, რომ ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.

დაწესებულების წარმომადგენელი მარიამ ხომასურიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ შპს ქართული ღვინის გილდია ოთხი წელია მოღვაწეობს და დაწესებულებას უკვე ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, იქვე დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულებას და ცენტრს შორის შედგა ნაყოფიერი თანამშრომლობა და კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა აღნიშნული გადამზადების პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიის /01348/ ,,მევენახეობის მოკლე კურსი'' პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ქართული ღვინის გილდიას (ს/კ: 405297423) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მევენახეობის მოკლე კურსი /01348/ **(დანართი).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიის /00424/ „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და შესაბამის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები

მომხრე:7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართული ღვინის გილდიაში (ს/კ: 405297423) „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიის /00425/ „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები" პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და შესაბამის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები

მომხრე:7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართული ღვინის გილდიაში (ს/კ: 405297423) „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით და ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ" პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**

საბჭოს სხდომა დასრულდა: 12:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01415	ბიბლიოთეკარი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	28	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01396	UX წერა კომუნიკაციის ტექნოლოგიებში	პროფესიული მომზადება	მეხუთე	11	ქართული	75	ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №115ბ

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01408	ვენახის გაშენება-მოვლა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	15	ქართული	10	ჩოხატაური, სოფ. გორაბერეჟოული

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01348	მევენახეობის მოკლე კურსი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	27	ქ.თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №17/ 9 აპრილის ქ. №5

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00424	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	21	ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17 / 9 აპრილის ქ. №5

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00425	ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	19	ქართული	21	ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17 / 9 აპრილის ქ. №5